პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 267 (19708) შაბათი, 22 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ზეიმისადმი ძრწოლიკა

ხუთწლედის ორი წლის გეგმა — ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

იზრდება მოგება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მატულობს შრომის ტემპი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. მისმა კოლექტივმა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა 102,5 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 104,3 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით 2617 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა. საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მოგებამ 400 ათას მანეთს გადააჭარბა.

შეასრულეს გეგმაც, ვალდებულებაც

ტყიბული. ზონის ყოლმეურნეობების მშრომელებმა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ... ხალხეთისავენ ხილის მიყიდვის წლიური გეგმაც და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებაც. ნაცვლად 769 ტონისა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 1200 ტონაზე მეტი ხილი.

ხილის დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დაგეგმილება სამას-სამასი პროცენტით შეასრულეს ბუეთის, კისორეთის, გურნისა და ქალაქის ზონის სხვა კოლმეურნეებმა.

შემასრულეს გეგმაც, ვალდებულებაც

ტყიბული. ზონის ყოლმეურნეობების მშრომელებმა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით

საქმიანი თემაზე

მრეწველობას ჯართი დააკლდა

კვლავ ყოვნდება ჯართის დამზადება. მეორეულ ლითონებს მოუმზენლად ელიან მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნები, სხვა ორგანიზაციები. ისე როგორც ადრე, დღესაც გადაუჭრელი რჩება მომხმარებლისათვის ლითონის რიტმულად და ხარისხის მიხედვით მიწოდების პრობლემები.

უნდა გააქტიურონ მუშაობა სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებულმა მუდმივმქმედმა კომისიებმა, რომლებიც ჯართის დამზადების ადევნებენ თვალყურს. ამ საკითხებისადმი კონტროლი არ უნდა შეასუსტონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა.

ნოემბერში სახელმწიფოს უნდა ჩაბარდეს 35 ათასი მეორეული შავი ლითონები. სადღეისოდ გეგმა სახსნიერადაც არ არის შესრულებული. როგორც ყოველთვის, ალბათ, ახლაც თვის დამლევისათვის დაიძვრებიან მანქანები ჯართის მიმღები ორგანიზაციების მიმართულებებით, რაც ძალიან არასულებს სამეს. ჭირს მისი ერთბაშად გადამუშავება და მომხმარებლისთვის დროული მიწოდება. ეს ფაქტი უნდა გათვალისწინონ თბილისის ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინის, ყიროვის, ოქტომბრის რაიონებმა, აგრეთვე ზუგდიდის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, ბორჯომის, დუშეთის, ყასბის, თელავის, სიღნაღის, თერჯოლის, წალკის რაიონებმა, რომლებიც აყოვნებენ ლითონის დამზადებას.

ნოემბერში დასამზადებელი 1497 ტონა ლითონიდან აფხაზეთში დღეისათვის მხოლოდ 300 ტონაა შეგროვილი. აჭარასა და სამხრეთ ოსეთში, შესაბამისად 1333-დან — 300 ტონა და 316-დან — 44 ტონა. ქუთაისში 3480 ტონიდან — 1150 ტონა, რუსთავში 4513 ტონიდან — 1100 ტონა, ზუგდიდში 420 ტონიდან — 35 ტონა.

10 თვის გეგმა ვერ შეასრულეს წყალტუბოს, ასპინძის, დუშეთის, ლენინგორის, მარნეულის, მაიაკოვსკის, მესტიის, ცაგერის, წალკის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს რაიონებმა. მშენებლობის სამინისტრომ ამ პერიოდში სახელმწიფოს დააკლო 1285 ტონა ლითონი, ცეკავშირმა 1285 ტონა ლითონი, ...

ხუთწლედის მეორე წელი

ამ შაბათს დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგმა სესიამ. მან განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო გეგმა, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, მიიღო სსრ კავშირის მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონები.

დაახასიათა რა ქვეყნის ახლანდელი ეტაპის მთავარი თავისებურებანი, მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ახლახან გაბარებულ თათბირზე წარმოთქმულ ხიტყვაში აღნიშნა: „...მიმდინარე ხუთწლედს განსაკუთრებული, საკვანძო ადგილი უკავია ჩვენს თხუთმეტწლიან პროგრამაში. ეს შეეხება მთავარი მარაგაკეთი. როგორ მარაგნეთს შევქმნით ეკონომიკაში, მართვის სფეროში, როგორ მარაგნეთს შევქმნით ქვეყნის პოლიტიკური პროცესის დინამიზმს, სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით, როგორ მარაგნეთს შევქმნით პარტიის, ჩვენი კადრების მუშაობის ახალი მეთოდის თვისებურის — ეს ... ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 20 ნოემბერს სხდომაზე განიხილა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული იმ თათბირის შედეგები, რომელიც მიეძღვნა სამრეწველო სამინისტროთა, გაერთიანებებსა და საწარმოებში პროდუქციის სახელმწიფო მიღების შემოღების საკითხებს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დაჩქარების სტრატეგიის, სახალხო მეურნეობის ძირეული გარდაქმნისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუხეშებისათვის ... ...

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა მ. კერეკუს

21 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ბენინის სახალხო რევოლუციის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, ბენინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის მეთაურს მატიე კერეკუს.

ამხანაგური საუბრის დროს მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივ დაჩქარებული განვითარების კურსის სარეალიზაციოდ მიმდინარე ფაქტიური, მიზანდასახული მუშაობის შესახებ რის მეთხებითაც განსაკუთრებით სრულად გამოიყენება სოციალიზმის უპირატესობანი საბჭოთა ხალხის, ქვეყნად მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

მ. კერეკუმ თქვა, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ ბენინის ხალხი და მისი ავანგარდი — ბენინის სახალხო რევოლუციის პარტია, რათა განამტკიცონ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და განახორციელონ პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. მან მადლობა გადაიხადა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს ბენინის ხალხს ეროვნულ მშენებლობაში.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ბენინის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობის გამო. აღინიშნეს, რომ არსებობს სასიკეთო პერსპექტივები მისი შემდგომი ნაყოფიერი და ორმხრივ ხელსაყრელი განვითარებისათვის სხვადასხვა დარგში.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკვანძო პრობლემების განხილისას სერიოზული შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ იმპერიალიზმის მიზეზით მსოფლიოში არ ცხრება დაძაბულობა, მ. კერეკუმ განაცხადა, რომ ბენინში მოწონებით შეხვდნენ კონსტრუქციულ პოზიციას, რომელსაც საბჭოთა კავშირი დაადგა რეიკიავიკის შეხვედრაზე. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ინიციატივების განხორციელება, ხაზგასმით აღნიშნა მან, შესაძლებელს გახდიდა შეგვექმნა საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა, მოგვესპო ბირთვული და სხვა სახეობათა მასობრივი განადგურების იარაღი, მიგვეღწია მსოფლიოში თვისებრივად ახალი სიტუაციისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა პოზიტიური შეფასება მისცა აფრიკისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების წვლილს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ჰარარეს მიუმხრობლობის მოძრაობის ფორუმის გადაწყვეტილებებში. მან აღნიშნა, რომ გამალებული შეიარაღების შეწყვეტა გაათავისუფლებდა მნიშვნელოვან სახსრებს განვითარებისა და ჩამორჩენილობის დაძლევისათვის.

საუბრის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი და მისი მფარველნი, დაადასტურეს, რომ სოლიდარობენ „ფრონტისპირა“ სახელმწიფოებს, სამხრეთ აფრიკისა და ნამიბიის მებრძოლ ხალხებს.

მ. კერეკუმ მ. ს. გორბაჩოვი ვიზიტად მიიწვია ბენინის სახალხო რესპუბლიკაში. მიწვევას მადლობით დათანხმდნენ. ვიზიტის ვადებს მოგვიანებით დათქვამენ დიპლომატიური არხებით. შეხვედრა მომდინარეობდა ორი პარტიისა და ქვეყნის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ მეგობრულ ურთიერთობაში.

(სა.დეს).

ვიზიტის წინ

21 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ინდოელი ჟურნალისტების — ინდოეთის ტელევიზიისა და რადიოს, პრეს ტრასტ ოფ ინდიასა და იუნაიტედ ნიუს ოფ ინდიას საagენტოების წარმომადგენელთა ჯგუფი და პასუხი გასცა ინდოეთში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებულ მათ კითხვებს.

ინტერვიუ საბჭოთა და ინდოეთის ტელევიზიით 23 ნოემბერს გადმოიცემა და 24 ნოემბერს გაზეთებში გამოქვეყნდება.

(საკდესი).

ოზეიმებენ ახალ-მოსახ-ლეობას

26 ოქტომბრის რაიონში, მეტროს სადგურ „ისნის“ მახლობლად, ჭრელაშვილის ქუჩაზე შენდება 55-ბინიანი 14 სართულიანი სახლი (III კორპუსი). მშენებლობას ეწევა „თბილისკალაქმშენის“ № 2 სახლსაშენებელი კომბინატი. მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს სახლი საექსპლოატაციოდ გადასცენ მიმდინარე წლის დეკემბრის დამლევს.

მემონტაჟეთა კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს სკკპ წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სახბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი მიხეილ დევდარიანი. ამ ბრიგადის აშენებული სახლები ყოველთვის „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით ბარდება.

სურათებზე: კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) — ოსტატი ვაჟა თარალაშვილი, მემონტაჟე ბადრი გაჩიჩილაძე, ბრიგადირი მიხეილ დევდარიანი, შემდუღებელი თეიურ დვიძე და მემონტაჟე თორნიკე გუგუშვილი; მიხეილ დევდარიანი; მიმდინარეობს 55-ბინიანი 14-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ა. საკაკოვის ფოტო.

ვიზიტი სსრ კავშირში

20 ნოემბერს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვეითი ვიზიტად ჩამოვიდა ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრი რ. ლუბერსი მეუღლითურთ.

აეროდრომზე პრემიერ-მინისტრს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი მეუღლითურთ, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

ნიდერლანდის მთავრობის მეთაურს ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ვან დენ ბრუკი.

* * *

21 ნოემბერს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვეითი ვიზიტად ჩამოვიდა ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრი რ. ლუბერსი მეუღლეთურთ.

ეროდრომზე პრემიერ-მინისტრს დახვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, ...

ПРАВДА

21 ნოემბრის მოწინავე

ПАРТИЈУЛИ ЦХОВРЕБА: წერილები პირველადი ორგანიზაციებიდან

1. გზა

ათას რვაას მეტრ სიმაღლეზეა საჩხერის რაიონის სოფელი ცხამი. უგზოობა თავიდანვე აწუხებდათ აქაურებს. ამიტომ თვალი სხვაგან ეჭირათ, ზოგი გარე სამუშაოზე გარბოდა, ზოგიც სხვა რაიონში გადასახლდა. სოფელი დაცარიელებას ძლივს გადაურჩა. ასოთხმოცდახუთი კომლი მაინც შემორჩა. ამ ბოლო ხანს აქა-იქ გფინტულნიც თანდათან უბრუნდებიან მამა-პაპის კერას. ან რატომ არ დაუბრუნდებიან. ამ მაღალმთიან და თითქოს მივარდნილ სოფელში ნორმალური ცხოვრების ყველა პირობა იქმნება: საშუალო სკოლის ახალი, ულამაზესი შენობა, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ტელევიზორი...

კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ნიკოლოზ გულიაშვილი რაიონის ცენტრიდანვე დაგვემგზავრა.

სანამ ცხამში ავიდოდით, ნიკოლოზმა თავისი ცხოვრების გზა გაიხსენა. ნიკოლოზ გულიაშვილი ნახევარ საუკუნეს გადაცილებული კაცია. სოფელში სკოლა რომ არ იყო, საშუალო განათლება მეზობელ რაიონში მიიღო და კოლმეურნეობას არ მოშორებია. თანასოფლელებს მხარში ამოუდგა, ფიზიკურად მუშაობდა. ათი წლის მანძილზე მესამე ბრიგადის პარტორგანიზაციის მდივანი იყო, უკანასკნელი ხუთი წელი კი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის ბიუროს უცვლელი მდივანია. თან საგზაო ბრიგადას უდგას სათავეში. საკოლმეურნეო გზების კეთილმოწყობა უშუალოდ მას ეხება. მას ისიც ეხება, სწორ გზაზე დააყენოს მიზანს აცდენილი. ერთი ასეთი ადამიანის ბედიღბალმა დაგვაინტერესა.

— კაცის გამეტება ხომ საერთოდ ძნელია, მით უმეტეს ახლობლისა და შენი მოგვარისა, — გვითხრა ნიკოლოზმა, — მაგრამ...

ამ „მაგრამის“ მიღმა ბევრი სულიერი განცდაც იმალება. იმ დღეს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრება იყო დანიშნული. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ნიკოლოზს. მას თვალწინ დაუდგა შაქრო გულიაშვილის ცხოვრება. შაქრო ცუდი კაცი როდი იყო, კოლმეურნეობაში ყველას უყვარდა, სანამ პატიოსნად შრომობდა და ხელს ბარავს აყოლებდა. წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ, თოხნიდნენ თუ ბარავდნენ, ან თივის დასაზვინვად დადიოდნენ. ყველას თვალში პატივსაცემი პიროვნება იყო, მერე კი რაღაც ეშმაკი შეუჩნდა...

შაქრო გულიაშვილი პარტიაში 1956 წლს მიიღეს. ღირსი იყო და კომუნისტებმაც ხმა მისცეს. მუშაობდა ფიზიკურად, ბეჯითობდა. სხვადასხვა დროს იყო ბრიგადირი, ფერმის გამგე. ბოლო დროს ზუგრი აქცია სოფელს, მიატოვა კოლმეურნეობა, პარტორგანიზაცია და თვითნებურად წავიდა რაიონის გარეთ სამოვარზე. ხუთი-ექვსი წელია გარეგარე დადის. წინათ ხანდახან მაინც ჩამოაკითხავდა სოფელს, ერთ წელზე მეტია არ ჩამოსულა, არც პარტიულ კრებებს დასწრებია, არც საწევრო გადაუხდია, სასმელსაც მიეძალა. ძის დაბრუნებას პირი აღარ უჩანდა და ამიტომაც...

— ვინ არის მომხრე, რომ შაქრო გულიაშვილი პარტიიდან გაირიცხოს?

საოცარი დუმილი ჩამოვარდა კრებაზე, ისეთი, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე. ხმას არავინ იღებდა, ხელსაც არავინ იწევდა. ეს დუმილი რამდენიშე წუთს გაგრძელდა. და როცა პარტბიუროს მდივანმა პირველმა ასწია ხელი, ზანტად, მაგრამ თანდათანობით წამოიმართა პარტორგანიზაციის წევრთა ხელები... ამას წინ უძღოდა დიდი მსჯელობა, საკიფზის ყოველმხრივ აწონ-დაწონა... ერთხმად!

არ ეთქმის ამას, კაცი, თანასოფელი, ახლობელი გაიმეტესო. არა, არ ეთქმის. ბევრი არიგეს, და უჩიჩინეს, მაგრამ არ შეისმინა. სხვა გზა არ იყო.

სწორედ ეს კრება იყო, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე რომ იმსჯელეს და ადგილობრივი ამოცანები მიუსადაგეს. დამახასიათებელი ფაქტებიც მოიყვანეს: ზოგი მთელი სეზონი გარე სამუშაოზე იყო წასული, გაპიროვნებული ნაკვეთი დაგვიანებით დაამუშავა და კვლავ „გასტროლებზე“ გაეშურა, ზოგიც მამის ზურგს ამოჰფარებია და თვითონ გულ-ხელი დაუკრეფია, ლოთობას არის გადაყოლილი. საკოლმეურნეო ტყეების გამანადგურებელნიც არ დაინდეს.

მაღალმთიანი სოფლის ამ კოლმეურნეობაში 31 კომუნისტია. ეს დიდი ძალაა. ბრიგადებში კი ოთხი პარტიული ჯგუფი მოქმედებს. პარტორგანიზაცია ფეხდაფეხ მიჰყვება ცხოვრებას. საკმარისია გადახედოთ წლიულს მის მიერ განხილულ საკითხებს: კომუნისტების ავანგარდული როლი და პარტიული დისციპლინა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომდინარეობა, ტექნიკის მზადყოფნა, საკვების დამზადება და წესალდობა, კომკავშირული ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, სახალხო კონტროლის ჯგუფის ანგარიში, პოლიტგანათლების ქსელში სწავლების მომდინარეობა, კომუნისტების დახასიათების დამტკიცება. თვით ერთი შეხედვით ყველაზე უფრო „სამეურნეო“ საკითხი კომუნისტების მუშაობასთან, მათი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ახლახან კი, 29 სექტემბერს, ბიუროს სხდომაზე მოისმინეს საბრიგადო პარტჯგუფორგების ანგარიში წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პარტიული ორგანიზაციის დახმარებით კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს სამეურნეო გეგმებს. წლევანდელი სამი კვარტალის მაჩვენებლებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულდა 102, რძის წარმოებისა — 112, სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვისა — 108, ხორცის წარმოებისა — 114, ხორცის მიყიდვისა — 101, აბრეშუმის პარკის მიყიდვისა — 137, ხილის მოსავლიანობისა — 340 პროცენტით. ამ ციფრების მიღმა პირველ რიგში დგანან კომუნისტები: მ. ცერცვაძე, შ. ლაკაბიძე, ნ. ხაჯალია, ს. ხვედელიძე, ა. გულიაშვილი, ს. სირაძე, გ. აბრამშვილი, პ. კიპაროიძე და სხვები.

...დიდი სიცხეების შემდეგ უჩვეულოდ გრილი ამინდები დაიჭირა. ზაფხულის პაპანაქებამ ამ სიმაღლეზეც ამოაღწია. აქაურებს ასეთი სიცხე არ ახსოვთ. მთაში ბალახი გახმა. სიმინდი გადაწვა. დაიგვალა ნათესები. ამ ხვატს ხმირი წვიმები მოჰყვა. საგზაო ბრიგადის წევრები ხრეშს მოტანდნენ, დაყრიდნენ, ისევ წყალს მიჰქონდა. ტყიდან ნიაღვარს ჩამოჰქონდა ნეშო, გუბდებოდა და გზებს ტბორავდა.

გზა, გზა უჭირდა თავიდანვე აქაურ გლეხკაცს. რაიონის ცენტრიდან მიხვეულ-მოხვეულ აღმართებზე რადენჯერმე ამოდის ავტობუსი, სოფლის ახლოს, ხევთან ჩერდება და უფრო ზემოთ ასვლა „ვერ გაუბედავს“. ცხამელები ნატრობენ, ისეთი გზა გაკეთონ, ავტობუსმა კოლმეურნეობის კანტორამდე მაინც ამოაღწიოსო.

ცხოვრებაშიც ზოგჯერ ასე ძნელია გზის გაკვალვა. პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ჩააგონოს ადამიანებს, რომ ყველა საათვის ხხოლოდ ერთი გზა არსებობს — პატიოსანი თავდადებული შრომისა...

2. გულის ნათელი

პარტიული კომიტეტის მდივნის სვეტლანა კეიდიას კაბინეტში ვართ. რამდენიმე პარტიულ დოკუმენტს გავეცანით და ჩანაწერები გავაკეთეთ. ამასობაში სვეტლანა ერთხელაც არ დამჯდარა თავის სკამზე, გარეთ გადიოდა და დროდადრო ისევ შემოდიოდა. მთელი ნახევარი საათიც სადღაც „დაიკარგა“. მანქანით სასწრაფო საქმეზე წასულიყო. როცა მობრუნდა, მოიბოდიშა:

— მარტო დაგიგეთ... რა ვქნა, არ მიყვარს კაბინეტში დიდხანს ჯდომა. მხოლოდ ოთხ კედელს შუა საქმე არ კეთდება. ბინდათ ჩვენი ნაკვეთები შემოვიაროთ? „მწვანე კაბინეტში“ მოწინავე კომუნისტებს პირადად გაგაცნობთ.

რთველი იყო და გული არ უთმენდა ბრიგადებისათვის არ დაეხედა. მასთან ერთად თითქმის ყველა ნაკვეთი შემოვიარეთ. რთველში „ქუდზე კაცი“ გასულიყო. მეურნეობის დირექტორი გივი ნოზაძე და პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ენუქიძეც ბრიგადებში დაგვხვდნენ.

თავისთავზე ჯერ სიტყვა არ დაეძრა და ცისფერი თვალები გაუბრწყინებოდა ხხოლმე, როცა მოწონავე ადამიანებს გვაცნობდა:

— აი, მე რომ ჩაგაწერინეთ, ცისანა დეკანოიძე, პატიოსნის რაიკომის ბიუროს წევრი, მეხუთე საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი!

ცისანა ბრიგადის სხვა წევრებთან ერთად ყურძენს კრეფდა. გიდელები სწრაფად ივსებოდა და მკრეფავებს ვენახის თავში გაჭქონდათ. იქ ყურძენს თვითმცლელი მანქანის ძარაში ჰყრიდნენ.

— ბარაქა თქვენს მოსავალს! — შევაგებეთ ბრიგადირს.

— ბარაქა მაშინ უნდა გენახათ, ჭირვეული ამინდები რომ არ დაეჭირა. მაგრამ ამინდს არ დავეჯაბნინებით. შარშან ჩვენს ნაკვეთში 155 ტონის ნაცვლად 184 ტონა ყურძენი მოვკრიფეთ, წელს კი 200 ტონაზე მეტს მივიღებთ!

— თქვენთან როგორ არის საქმე? — ჰკითხა სვეტლანამ მეორე საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელს, „სპპტიო ნიშნის“ ორდენოსანს, კომუნისტ გურამ დეკანოიძეს, როცა მის ნაკვეთში გადავინაცვლეთ.

პასუხს აღარ დაელოდა:

— ამ ბრიგადამ პირველმა შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და ახლა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

გურამმა კი წეღანდელი შეკითხვის პასუხად სხარტად დაუმატა:

— იქნება 230 ტონა, შარშანდელზე მეტი!

— დღეში რამდენ კილოგრამ ყურძენს კრეფს თითოეული მუშა? — დავინტერესდით.

— გაჩნია ხელის სისწრაფეს. ზოგი — მეტს, ზოგი — ნაკლებს. დღეში ერთ ტონასაც კრეფენ.

— ფულადი ანაზღაურება?

— აგერ — „ელვა-ფურცლებს“ ვუშვებთ და იქ „ტონიანი“ მკრეფავი ბევრია. ერთ ტონაში ოცდაათი მანეთი ეკუთვნით.

— სხვა ბრიგადებიც კვალდაკვალ მიჰყვებიან მოწინავეებს. კომუნისტებ გალაქტიონ ღუღუნიშვილის ბრიგადა 205 ტონა ყურძენს ჩაბარებს სახელმწიფოს. მის ნაკვეთშიც გავიარეთ. — ენაწყლიანობს სვეტლანა.

სხვა ნაკვეთებიც დავათვალიერეთ. როცა ფერდობზე შეფენილ ერთ ვენახში შევედით, სვეტლანამ სინანულით თქვა:

— ნაკვეთი ვერ მოიხნა და ცოტა ბალახი აქვს მორეული.

—ეს ბალახი ცუდი როდია, ყურძენს გრილად ინახავს, — „განმარტავს“ ვიღაც და ხელში ბალახის კონას გვაჩვენებს.

— ეს კლანჭა ბალახია, ვენახის „დაფინებელი“ მტერი, ეს არაფერს არ ინახავს. დროზე უნდა მოგეხნათ. ვენახი კარგი დიასახლისის მიერ დალაგებული ოთახივით უნდა კრიალებდეს. — უპასუხებს ცოტა გულმოსული მეერელთა რძალი.

სვეტლანას ვერავინ მოატყუებს. იცის ვენახის მოვლა-პატრონობის ყველა აგ-კარგი.

მეცამეტე ბრიგადაში, მის ხელმძღვანელთან, საუბნო პარტორგანიზაციის მდივანთან ვასილ მაჭარაშვილთან მცირე ხანს შეყოვნდა.

მეურნეობის დირექტორის გივი ნოზაძის ნაამბობიდან: „საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა რამდენიმე სოფლის კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნა. ეს სოფლებია: მერჯევი, წითელსოფელი, გორისა, გამოღმა არგვეთი, ჭორვილა. ხუთი უბანი და თხუთმეტი საწარმოო ბრიგადა გვაქვს. ყურძნის ხვედრითი წილი 76,9 პროცენტს შეადგენს. შარშან სარეკორდო მოსავალი მივიღეთ, სახელმწიფოს ჩავბარეთ 1645 ტონა ყურძენი. წელს გეგმით 1590 ტონა უნდა ვაწარმოოთ, ვფიქრობთ, ამ ციფრს გადავაჭარბებთ. აქ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებიდან გადმომყვანეს. სვეტლანა კეიდია შარშან აირჩიეს პარტკომის მდივნად. სმენოლოგ გითხრათ, პირველად ვფიქრობდი, ამ საშუალო ტანის, კაფანდარა ქალმა პარტიულ მუშაობას თავი როგორ უნდა გაართვას მეთქი. იგი ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათიდან არის. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, ფიზიკურად მუშაობდა კოლმეურნეობაში, თან სწავლობდა. ნარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის ფაკულტეტი. პარტიაში კომკავშირიდან მოვიდა. ოცი წელიწადი იმუშავა კახათის კომლეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. ინსტიტუტის დიპლომი რომ მიიღო, იქვე ხელმძღვანელობდა აგროქიმიურ ლაბორატორიას. მერნის ბიჭიკო კაპანაძის პარტიული დახასიათების დამტკიცება.

ბიჭიკო კაპანაძეს 17 წლისამ დაიწყო ფიზიკური მუშაობა. სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ კვლავ მეურნეობას დაუბრუნდა და პარტიაში 1968 წელს მიიღეს. აქ მუშაობის პერიოდში მიიღო უმაღლესი აგრონომიული განათლება, 1971 წლიდან ბრიგადირია. ეს ბრიგადა წლების განმავლობაში ვერ ასრულებდა გეგმას. მას შემდეგ, რაც მას ბ. კაპანაძე ჩაუდგა სათავეში, ყოველ წელს მატულობს საქმეტარო მოსავლიანობა: 1984 წელი — ჰექტარზე 55 ცენტნერი ყურძენი, 1985 წელი — 71 ცენტნერი. წლეულს უფრო მეტია.

კომუნისტებმა სიყვარულით ილაპარაკეს მოწინავე ბრიგადირზე, შენიშვნებიც გამოთქვეს. წარმოებაში სანიმუშოა, მაგრამ როგორც საუბნო პარტორგანიზაციის მდივანი, მუშაობაში, ნაკლებ ინიციატივას იჩენს, „ზემოდან“ მითითებებს ელოდება, იმის ნაცვლად, რომ თავისი ინიციატიბებზე კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი. ავტოსატრაქტორო პარკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტმა გ. გოგატიშვილმა წამოაყენა ახალგაზრდა მექანიზატორთა მომზადების წინადადება. უკვე მომზადდა ხუთი ახალი მექანიზატორი. ეს მინისტრაციის პარტორგანიზაციიდან კომუნისტმა ნ. ენუქიძემ დააყენა საგაზაფხულო სანერგეზე მწყემსთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ელექტროგაყვანილობის საჭიროების საკითხი. „გადაწყვეტილია დადებითად“—ჩაიწერა სხდომის ოქმში. ამ საქმის გადაწყვეტას წლობით ელოდნენ მწყემსები. გალმა არგვეთის უბანში საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ არისო, თქვა კომუნისტმა ხ. გოგობერიშვილმა. კი, მართალიაო, დაეთანხმნენ, მაგრამ საკითხი კვლავ გადაწყვეტას, ელის.

მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის, კომუნისტ ნიკო ენუქიძის ნაამბობიდან: „სვეტლანას გული რომ ჩაიხეწოთ, სიკეთისა და სინათლის მეტს ვერაფერს დაინახავთ. უყვართ საჩხერელებს ეს ნათელი, ეციცხლივით მოძრავი და მოქნილი ქალი. მისი გული რომ დაინახოთ, რენტგენის სხივები არ დაგჭირდებათ. მის სიტყვა-პასუხში, მრავალფეროვან მოღვაწეობაში იგრძნობა პარტიული ხელმძღვანელის თბილი და მოსიყვარულე გული. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მკაცრი და პრინციპული არის. ხშირად შეეკამათება სამეურნეო ხელმძღვანელებს, ზოგჯერ მეც, მაგრამ ეს კამათი არასოდეს გადაქცეულა არც ჩხუბად და არც კინკლაობად. ადმინისტრაციასთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ხელიხელჩაკიდებული ბევრ სასარგებლო ღონისძიებას ასხამს ხორცს, ყველას ვერ ჩამოვთვლი. მის პრინციპულობაზე მოგახსენებდით. მახსოვს, წელს გაზაფხულზე არასახარბიელო პირობები შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. სვეტლანამ ვითარება აწონ-დაწონა და გამოიტანა დასკვნა, რომ ეს ძირითადად ხელმძღვანელ მუშაკთა უპასუხისმგებლობის ბრალი იყო. პარტკომის სხდომაზე განვიხილეთ საკითხი. პარტიული სასჯელი დაედოთ მე-7 და მე-8 ბრიგადების ხელმძღვანელებს, მე-2 და მე-5 უბნების უფროსებს და სხვებს. პარტიულმა კომიტეტმა მკაცრი კონტროლი დაუწესა საგაზაფხულო სამუშაოთა შესრულებას. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ეს სამუშაოები წარმატებით შესრულდა; დროზე დამთავრდა ხვნა, ვენახების დამუშავება“.

თქვენ რაღას იტყვით თქვენზე, სვეტლანა?

— არაფერს.

გამომშვიდობებისას რაიონული ცენტრისაკენ მიმავალ გზამდე გამოგვაცილა და თქვა:

— ერთი რამ დამავიწყდა... ჩვენს პარტორგანიზაციაში, უფრო სწორად, სამეურნეო აპარატში არიან ისეთი კომუნისტები, რომლებიც წლების მანძილზე უმწიკვლოდ, ერთგულად მუშაობენ თავიანთ პოსტებზე! — და ისეთი გრძელი სია მოგვაწოდა, რომ საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს.

მისი სამუშაო დღე ამით არ დამთავრებულა. საღამოს 6 საათზე ერთ-ერთ საწარმოო უბანში პოლიტსკოლის მეცადინეობას უნდა დასწრებოდა.

და ვინ იცის, რამდენი ჩანაწერი გაჩნდება მის უბის წიგნაკში სახვალიოდ და სამერმისოდ...

სტეფანე მხარგრძელი.

„კომუნისტი“ საკვლევი საკითხები
ახალი ამბები

● **დეკემბრის** ბოლოს ენერგეტიკის ინსტიტუტში „ელექტროენერგეტიკა“ გამოყენებით კიბერნეტიკის ინსტიტუტთან ერთად ელექტროენერგეტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავრი „ჰორიზონტი“.

თანამგზავრ „ჰორიზონტზე“ დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი მართავს თანამგზავრს.

● **20 ნოემბერს** მოსკოვში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის კლემენტ გოტვალდის დაბადების 90 წლისთავს. კონფერენცია მოაწყვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ.

კონფერენციაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ა. გ. ეგოროვი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე ი. კრემპა, სხვა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერები. მათ ილაპარაკეს მშრომელთა უფლებებისათვის, ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ფაშისტური დამონების წინააღმდეგ, ეროვნულ-დემოკრატიული, შემდეგ კი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, ახალი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის შენებლობისათვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საცადი ხელმძღვანელის კ. გოტვალდის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

კონფერენციას დაესწრო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. ზავადილი.

● **ოქმის** ხელმოწერით დამთავრდა თბილისში გამართული საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამუშაო ჯგუფის XVIII სხდომა.

ამ დარგში დაახლოებით ორი ათეული წლის წინათ დაწყებული ორი ქვეყნის თანამშრომლობა, ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს, რომელიც გათვალისწინებულია 1990 წლამდე პერიოდის გრძელვადიანი პროგრამით. ეს არის სამელიორაციო სისტემების მშენებლობის დაპროექტება და ექსპლოატაცია, აგრეთვე წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება და დაცვა.

სამუშაო ჯგუფის მორიგი, XIX სხდომა გაიმართება ფინეთში 1988 წელს. ამავე დროს გაიმართება სიმპოზიუმი თემაზე: „სამელიორაციო სისტემების გამოკვლევისა და ექსპერიმენტების თანამედროვე მეთოდები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ მიიღო ფინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ს. იაატინენი.

გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდა რუსეთის სფსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი ვ. ლოგინოვი.

● **ელექტრონულ**-გამომთვლელ მანქანასთან ექიმის დიალოგი, კომპიუტერული ტექნოლოგიის სრულყოფა, ექიმის აზროვნების თარგმნა მანქანისათვის გასაგებ ენაზე — ყოველივე ეს ხელს უწყობს დაავადების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხარისხის გაუმჯობესებას, „გადაწყვეტილებების ოპერატიულ მიღებას.

ამ დარგში ნამუშევრების, ადამიან-მანქანის საექსპერტო სისტემების განვითარების შედეგებისა და პერსპექტივების, ხელოვნური ინტელექტის შექმნის საფუძვლებს განიხილავს თბილისში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენცია „სამედიცინო ინფორმატიკა“. მის მუშაობაში მონაწილეობენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების — ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, საფრანგეთის, ალჟირის, მაროკოს, სხვა სახელმწიფოების თვლსაჩინო მეცნიერი მედიკოსები და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

● **ბარსელონაში** მომღერალთა საერთაშორისო კონკურსის სპატიო ჯილდოებით დაბრუნდა სამშობლოში თბილისის ოპერის და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი მაია თომაძე. მან მოიპოვა ამ შემოქმედებითი მეტოქეობის პირველი ადგილი და ოქროს medaლი (საოპერო სიმღერაში). კონკურსში მონაწილეობდა მსოფლიოს 17 ქვეყნის 132 მომღერალი. ქართველმა მომღერალმა დაიმსახურა გრან პრიც.

მთავარი ჯილდოები მოიპოვა აგრეთვე ორმა საბჭოთა შემსრულებელმა: კონკურსის მეორე პრემია მიიღო სსრ კავშირის დიდი თეატრის სტაჟორმა ალექსანდრე ფედინმა (საოპერო სიმღერა) — სსრ კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ სოტკილავას, ბარსელონის კონკურსის ერთ-ერთი პირველი ლაურეატის აღზრდილმა. მეორე პრემია (კამერულ სიმღერაში) დაიმსახურა ლენინგრადელმა მომღერალმა ელენე რუბინმა.

მესამე, ბოლო ტურში ექიურის წევრების თხოვნით, რომელთა შემადგენლობაშიც იყვნენ მსოფლიო ვოკალური სკოლის ვარსკვლავები, მ. თომაძემ განმეორებით შეასრულა ლეონორას არია ვერდის ოპერიდან „ბედისწერის ძალა“. ეს არია, აგრეთვე აიდას არია შეასრულა მომღერალმა დათვალიერების გამარჯვებულთა საზეიმო კონცერტზეც, რომელიც სხვათა შორის, გახსნა ესპანეთის დედოფალმა სოფიამ. მსმენელთა დაჟინებით თხოვნით ესპანეთის ცის ქვეშ აღიერდა დიმიტრი არაყიშვილის „ქალის ურმული“ და „სულიკოს“ უკვდავი მელოდია.

სიტყვა კომუნისტთა წინამძღოლებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად

ონის რაიონში ზთავარი ყურადღება პირუტყვისათვის საკვების მომარაგების დიდმნიშვნელოვან საკითხს მიექცა. მერედა, როგორ იმუშავეს საკვებმომპოვებლებმა ამ პასუხსაგები ამოცანის გადასაჭრელად?

ნოემბრის დამდეგისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში დამზადებულია 4. 107 ტონა სენაჟი, გეგმით გათვალისწინებული 2. 100 ტონის ნაცვლად, სილოსი

ფერმები ზამთრისათვის მოუმზადებელია

ჩადებულია 2.933 ტონა, საგეგმოზე 733 ტონით მეტი, ხოლო, ფერმებთან მიზიდულნი და დაზვინულია 12.570 ტონა თივა, თითქმის იმდენი, რამდენიც შარშან დამზადდა. ერთი სიტყვით, საკვების დასაგროვებლად ერთობ ნაყოფიერად იშრომეს.

განსაკუთრებით კარგად იმუშავა პიპილეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელსაც წლების მანძილზე სათავეში უდგას უ. ტაბუცაძე. მეურნეობის საკვებმომპოვებლებმა გეგმის გადამტკიცებთ 1. 140 ტონა სენაჟი, 520 ტონა სილოსი და 15 ტონა თივა დამზადეს. ჯეროვანი ყურადღება მიექცა პირუტყვის სადგომი ბინების შეკეთებას და დათბუნვას.

ზამთრისათვის მზადება დამაკმაყოფილებლად წარიმართა უწერის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ო. გავაშელი). სწორედ ამის შედეგია ის, რომ ამ მეურნეობაში მოიმატა ძროხისა და ღორის სულადობამ, გაიზარდა რძისა და ხორცის წარმოება, მკვეთრად შემცირდა პირუტყვის გაწყდომის შემთხვევები.

— ვცდილობთ, რომ ზამთარმა ხელი არ შეუშალოს ონელ მეცხოველეებს პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებაში, — გვითხრა აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ გ. ლობჟანიძემ, — ამდენი საკვები წინათ არასოდეს არ დაგვიმზადებია. ახლა მთავარია ყაირათიანად ვხარჯოთ

იგი. სითბო არ მოვაკლოთ ბაგურ რეჟიმზე გადაყვანილ პირუტყვს, მაგრამ ნაკლოვანებებიც გვაქვს. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მკაცრი კლიმატის დადგომამდე გამოვასწოროთ ხარვეზები.

მართლაც, ზამთრისათვის მზადებაში ნაკლოვანებებიც არის. ყველაზე მეტად ეს შეიმჩნევა შეუბნის (დირექტორი ა. დვალიძე) და სორის (დირექტორი ბ. რეხვიაშვილი) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში. შეუბნის საბჭოთა მეურნეობის ბესვეურებმა ზამთრისათვის მზადების გეგმა თავის დროზე შეიმუშავეს, მაგრამ იმათ, ვისაც დასახულის შესრულებისათვის პერსონალურად ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ინიციატივა და მონდომება არ გამოიჩინეს და საქმე თავიდანვე თვითდინებაზე მიუშვეს.

განსაკუთრებით ითქმის ეს შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა

შეუბნის საბჭოთა მეურნეობის კომანდლის განყოფილების მესვეურებმა (მმართველი ა. ჯოხაძე) შარშან ზამთარში 40-მდე ხბო მოსახლეობას მიაბარეს გამოსაკვებად, რამაც გააძნელა პირუტყვის ზოოვეტმომსახურება. წელს ამ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა, თუ შეაკეთებდნენ ძველ ბოსლის შენობას. მაგრამ ბოსელი ამ ზამთარს უფრო უარეს მდგომარეობაშია, სახურავიდან წყალი ჩამოდის, ფარაღლა კედლები შესაკეთებელია, იატაკი დასაგები, აღდგენა ესაჭიროება პირუტყვის საკვებურებს, ფანჯრები შეუმინავი და სხვ.

ვათვალიერებთ ფერმის დანარჩენ შენობებს: იმ ბოსელში, სადაც 120 ძროხა ჰყავთ, მიყვანილი არ არის წყალი. ბოსლის დათბენვას არც კი შესდგომიან, ფანჯრების ნაწილში მინებია ჩასასმელი, იატაკი ზოგან აყრილია და შეკეთება სჭირდება. ერთი სიტყვით, ზამთარს აქ მოუმზადებელი ხვდებიან. ფერმის გამგე შ. ნომასურიძე სუსტი მუშაობისათვის ორი თვის წინათ გათავისუფლეს სამუშაოდან, მაგრამ მისი შემცვლელი დღემდე ვერ გამოუძებნიათ. კაცი არ ფიქრობს ფერმის მექანიზაცია-ავტომატიზაციაზე, მომსახურე პერსონალი ყველა შრომატევად სამუშაოს ხელით ასრულებს. ყველაზე დამფიქრებელი მაინც ის არის, რომ კომანდლის განყოფილების ფერმაში არა აქვთ პირუტყვის სამყოფი საკვების მარაგი. მეურნეობამ ბევრად იმაზე ნაკლები თივა დაამზადა, ვიდრე შარშან.

რაიონში ფერმების ერთ ნაწილში მოსაწყობია სახბორეები, ხბოების გამოსაზრდელი, თანაბედროვე პროფილაქტორიუმი მხოლოდ პიპილეთის საბჭოთა მეურნეობის ერთ ფერმაშია მოწყობილი, დანარჩენ ფერმებში ხბოების გამოზრდა ბოსლებში ხდება. რაიონში არსებულ ოთხ საბჭოთა მეურნეობაში რძის ხარისხის განმსაზღვრელი მხოლოდ თითო ლაბორატორიაა, რაც არ არის საკმარისი.

რაიონის ყველა ფერმაში ხბოებს დღემდე ნატურალური რძით კვებავენ. ეს იმიტომ, რომ არა აქვთ კარადა-მაცივრები რძის შემცვლელის შესანახად. ამ საქმის მოგვარებით წლის მარტო პირველ და მეორე კვარტალში სულ ცოტა 100 ტონამდე მოუხდელი რძე დაიზოგებოდა. ამ პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა აქედანვე უნდა დაიწყოს.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამსახურმა გადამწყვეტი კომპლექსური ღონისძიებები უნდა განახორციელოს ნაკლოვანებების დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

З. ЦИРЕКИДЗЕ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

მუყაითად ირჯება

თბილისის პირველი მაისის სამკერვალო ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმების უმოუო შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შრომითს მეტოქეობაში განსაკუთრებით მუყაითობს კომკავშირული მკერავი ლ. ზაქაიძე, რომელიც საუკეთესოა თავის პროფესიაში და აქტიურად მონაწილეობს საწარმოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი კომკავშირული პროფექტორის თავმჯდომარეა, არჩეულია № 4 საამქროს სახალხო კონტროლის წევრად.

● ●

სურათზე: ლ. ზაქაიძე.
ა. სააკოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა
ლიბერიან



რევოლუციონერი, მოაზროვნე

ა. გ. წულუკიძის
დაბადების 110
წლისთავის გამო

ლენინური სკოლის პროფესიონალმა რევოლუციონერმა, საქართველოსა და ამერიკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მარქსიზმის თეორეტიკოსმა და მგზნებარე პროპაგანდისტმა ალექსანდრე (საშა) გრიგოლის ძე წულუკიძემ თავისი ხანმოკლე, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ცხოვრება მთლიანად შეალია სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

თავადის ოჯახიდან გამოსული საშას მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდიდან, როცა მან გადაკრთი დაგმო თავადაზნაურული ქარაფშუტული ცხოვრების წესი, რომლის გამოც მას ბევრი უსამოვნო დავის გადატანა მოუხდა ნათესავებთან და მეგობრებთან.

1895 წელს იგი შედის მესამედასელთა ქუთაისის წრეში. სწორედ ამ დროიდან სისტემატურად ქვეყნდება პრესაში მისი წერილები და სტატიები. მუშათა და სტუდენტთა ერთ-ერთ კრებაზე საშას მიერ წაკითხული რეფერატის გამო მიხა ცხაკაია წერდა, რომ ეს იყო ნამდვილი მარქსისტის დიდი თეორიული ნაშრომი, რომელმაც მსმენელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, „ჩვენ განცვიფრებული ვიყავით ახალგაზრდა რევოლუციონერი მარქსისტის ბუნებრივი ჭკუითა და მდიდარი ერუდიციითო“.

1897 წლის შემოდგომიდან ა. წულუკიძე მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია. აქ ორი წლის მანძილზე ინტენსიურად ეუფლება მარქსიზმის ძირითად საკითხებს. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების გაცნობამ განსაზღვრა საშას იდეოლოგიური კრედო და პოლიტიკური მიმართულება.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ა. წულუკიძე აქტიურად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც საუცხოოდ განსწავლული მარქსისტ-ლენინელი. იგი წერდა, რომ მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიული მისიის მეცნიერული გაჩენა მოუწოდებდა ყველა კაპიტალისტს და ამავე დროს აღფრთოვანებს ყველა ჩაგრულსა და პატიოსან მშრომელს.

ა. წულუკიძე გახდა მარქსის მოძღვრების ერთ-ერთი გამოჩენილი მცოდნე, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღიარებული იდეოლოგი.

მან მ. ცხაკაიასთან, ლ. კეცხოველთან, ი. სტალინთან ერთად დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მარქსიზმის გავრცელების და მუშათა მოძრაობასთან მისი შეერთებისათვის. თუ „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთა ნ. ჟორდანიას მეთაურობით ცდილობდა მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისათვის დაემორჩილებინა, ა. წულუკიძე მუშთა კლასს ბურჟუაზიული ნყობილების დამხობისათვის მოუწოდებდა, დაბეჯითებით განუმარტავდა მშრომელებს, რომ პოლიტიკური ძალაუფლების მოუპოვებლად სოციალიზმზე ოცნებაც კი შეუძლებელიაო. იგი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მუშათა ორგანიზებულ გაფიცვებში, საპარველმაისო დემონსტრაციებსა და არალეგალური სტამბის მუშაობაში. ლ. კეცხოველთან და ი. სტალინთან ერთად ა. წულუკიძემ დიდი მუშობა გასწია პირველი ქართული არლეგალური მარქსისტული გაზეთის „ბრძოლის“ დაარსებისათვის.

რევოლუციონერმა მარქსისტებმა უკომპრომისო ბრძოლა გაიჩაღეს კლასების „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ. მაშინდელ საქართველოში ამ საკმაოდ ფეხმოკიდებული შეხედულების იდეოლოგები თავგამოდებით ქადაგებდნენ ანტაგონისტური კლასების შერიგებისა და მათი ჰარმონიული თანაცხოვრების იდეებს, მოუწოდებდნენ მუშებს დაეგიწყებინათ კლასობრივი ანტაგონიზმი, მხარში ამოდგომოდნენ ქართველ მრეწველსა თუ ვაჭარს, შეექმნათ ერთიანი ეროვნული ძალა, რომელიც ხელს შეუწყობდა საკუთარ ბურჟუაზიას სხვა ერების კაპიტალისტთა წინააღმდეგ საკონკურენციო ბრძოლაში. ასე ასაღებდნენ ბურჟუაზიის ქომაგები ქართველ კაპიტალისტთა ეგოისტურ ინტერესებს საერთო ეროვნულ ინტერესებად.

„საერთო ნიადაგის“ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამ ისტორიული ბრძოლის წინა რიგებში ა. წულუკიძე იდგა. წარუვალი მნიშვნელობა ჰქონდა ა. წულუკიძის სტატიას „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“. ეს იყო საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის რევოლუციური მარქსისტების საპროგრამო დოკუმენტი ეროვნულ საკითხში. ავტორმა მკითხველის ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ყველაზე მტკივნეულ და დრამატულ პრობლემაზე, რომლის გადაჭრამ ტრიალებდა მაშინ ქართული საზოგადოებრივი აზრი.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ა. წულუკიძემ პირველმა გამოიყენა ლენინური დებულება მჩაგვრელი და ჩაგრული ერების ნაციონალიზმის ერთმანეთისაგან განსხვავებისა და პროლეტარიატის მიერ ჩაგრული ერების განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის შესახებ.

ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებსაც ქართული ენისა და კულტურის ქომაგებად მოჰქონდათ თავი, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ამ სფეროში კლასების სრული ერთსულოვნება და ჰარმონია სუფევსო. ა. წულუკიძემ თავის სტატიაში „ოცნება და სინამდვილე“ გვიჩვენა, რომ ბურჟუაზიას მისი ცხოვრების პირობების გამო უნარი არ შესწევს უპატრონოს ქართულ ენასა და კულტურას. მხოლოდ მშრომელი ხალხია დაინტერესებული თავისი შშობლიური ენისა და კულტურის განვითარებით. ის ქართულ ენაზე დებულობს გონების პირველდაწყებით საზრდოს, ამ ენაზე უზიარებს თანამოძმეებს თავის ჭირ-ვარამს, მის ოჯახში ქართული ენაა გამეფებული, ის აწყდება თეატრის კარებს ქართული წარმოდგენების დროს და სულგანაბული უსმენს ქართველ ლექტორს.

მ. ცხაკაიასთან და ა. ჯაფარიძესთან ერთად ა. წულუკიძე ხელმძღვანელობდა რევოლუციურ მოძრაობას დასავლეთ საქართველოში. 1902-1903 წლებში მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების ქუთაისის, სოხუმის, ჭიათურის, სამტრედიის, ხონის ორგანიზაციები და ჯგუფები. იგი იდგა ქუთაისის გუბერნიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის შექმნილი კომიტეტის სათავეში. 1903 წლის მარტში თბილისში გაიმართა რსდმპ ამიერკავკასიის ორგანიზაციების ყრილობა, რომლის მუშაობას მ. ცხაკაიასთან, ფ. მახარაძესთან და სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა ა. წულუკიძეც. იგი არჩეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ ა. წულუკიძე მტკიცედ დადგა ბოლშევიზმის პოზიციებზე და განუხრელად იცავდა ლენინურ ხაზს. დიდია მისი დამსახურება რსდმპ ბათუმის, გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების და სხვა ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნა-განმტკიცებაში.

შერეული ჯანმრთელობის მიუხედავად ა. წულუკიძე ხშირად მიდიოდა ადგილობრივ ორგანიზაციებში, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათს საქმიანობას, აწყობდა პარტიულ კრებებსა და კონფერენციებს, დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა შორის, გამოდიოდა პოლემიკური ხასიათის სტატიებით, წერდა მგზნებარე-საგაგიტაციო ფურცლებსა და პროკლამაციებს. ცნობილია მისი შესანიშნავი გამოსვლები პარტიულ დისკუსიებში ბესშეიკიების წინააღმდეგ თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურასა და ხონში. ყველაზე მტკიცე, ყველაზე დაუნდობელ ბრძოლას იგი მარქსიზმის თეორიული საფუძვლების დამცველ წინააღმდეგ იწეოდა.

